საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრემია ახალგაზრდა მეცნიერთათვის

პრემია ენიჭება მათემატიკოსს, საქართველოს მოქალაქეს, რომლის ასაკი არ აჭარბებს 40 წელს დაჯილდოების მომენტისათვის, ქართული მათემატიკური სკოლის საერთაშორისო მასშტაბით წარმომჩენი სამეცნიერო მიღწევებისთვის.

კანდიდატურის წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

დასახელებულმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ყრილობის ორგკომიტეტის სამდივნოში 2009 წლის 5 ოქტომბრის 12 საათამდე:

1. განცხადება;
2. კანდიდატის ავტობიოგრაფია (CV);
3. გამოქვეყნებულ ნაშრომთა დამოწმებული სია;
4. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობათა ჩამონათვალი, დამოწმებული სამუშაო ადგილიდან;
5. ცნობილი უცხოელი ან ქართველი მეცნიერის რეკომენდაცია-დახასიათება;
6. კანდიდატის არჩევით ერთი მისი სამეცნიერო პუბლიკაციის ამონაბეჭდი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს;
7. სხვა მასალები კანდიდატის შეხედულებისამებრ (მაგალითად,
   ა) მიღებული გრანტების დამოწმებული ჩამონათვალი;
   ბ) ამონარიდები ცნობილ მეცნიერთა სტატიებიდან ან წიგნებიდან, სადაც მითითებულია კანდიდატის მიღწევები
   და სხვა).

წარმოდგენილ კანდიდატურებს განიხილავს ყრილობის სამეცნიერო კომიტეტის გაფართოებული სხდომა და პრემირებული მათემატიკოსის ვინაობა გამოცხადდება ყრილობის დახურვის ცერემონიის დროს.

სამი კანდიდატურის შერჩევა მოხდება ყრილობის დაწყებამდე. სასურველია შერჩეული კანდიდატების დასწრება ყრილობაზე.